პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

სადაზღვევო აგენტი IV საფეხური

I. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

II. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- სადაზღვევო აგენტისპროფესიული სტანდარტი

III. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :**სრული ზოგადი განათლება

IV. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სადაზღვევო, სადაზღვევო - საბროკერო, საკონსულტაციო ორგანიზაციებში ან იმუშაოს დამოუკიდებელ აგენტად.

V. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია შრომის ბაზარს შესთავაზოს კადრი, რომელიც შეასრულებს სადაზღვევო ორგანიზაციასა და კლიენტს შორისშუამავლის ფუნქციას. სადაზღვევო აგენტი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იმოქმედებს დამზღვევის დავალებით; მოიძიებს ინფორმაციებს მომხმარებლის შესახებ, მათ შორის მის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც საჭიროა შესაბამისი სადაზღვევო პაკეტისა და მისი პირობების განსაზღვრისათვის; პოტენციურ მომხმარებლებს გააცნობს კომპანიის პროდუქტებს, აჩვენებს მათ პოზიტიურ მხარეებს, დაარწმუნებს პროდუქტის შეძენის საჭიროებებსა და ზოგადად დაზღვევის მნიშვნელობაში; კლიენტებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, რათა განსაზღვროს რისკის ხარისხი, გადახდის პირობები და შეურჩიოს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტი.

VI. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- პოტენციური მომხმარებლების მოძიება;
- მომხმარებლების მონაცემთა ბაზაში მუშაობა;
- მოლაპარაკების წარმართვა;
- სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება;
- სადაზღვევო აგენტის პორტფელის მართვა.

VII. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- **მოცულობა:** 87კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 23სასწავლო თვე

VIII. **პრაქტიკის უზრუნველსაყოფად** გაფორმებულია ხელშეკრულება სს " სადაზღვევო კომპანია ალდაგი".

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება (მოდულური პროგრამებისათვის)

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმავითარებელი შეფასება არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაში;
4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა;
6. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს 2-ჯერ გავიდეს დამატებით გამოცდაზე, შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში ვალდებულია მოდული გაიაროს თავიდან, ამ მოდულის კრედიტების რაოდენობის საფასურის გადახდით.
7. სწავლის შეედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება;
8. შესაძლებელია რამოდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება;
9. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

შეფასების შედეგი ფორმდება შეფასების უწყისით

დაწესებულება 2017-2018 ს.წ. გეგმავს დაიმატოს მოდულური პროგრამები:

1. **ბუღალტრული აღრიცხვა;**
2. **საოფისე საქმე**
3. **ღონისძიებების ორგანიზება;**
4. **ინფორმაციის ტექნოლოგია;**
5. **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი;**

1. პრაქტიკოსი ექთანი. V საფეხური

პროგრამის სახელწოდება:
პრაქტიკოსი ექთანი (V საფეხური);

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:
საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 150 კრედიტს. პროგრამის სრული მოცულობაა 3750 საათი, ხანგრძლივობა - 97 კვირა. აქედან 50%, ანუ 75 კრედიტი (1875 საათი) ეთმობა თეორიულ სწავლებას, ხოლო 50 %, ანუ 75 კრედიტი (1875 საათი) პრაქტიკას. პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რაც დასტურდება შესაბამისი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტით.

სფეროს აღწერა და პროგრამის აქტუალობა:
პრაქტიკოსი ექთანი არის ჯანდაცვის მიმართულების საექთნო საქმის დარგის კვალიფიკაცია, მას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ერთ–ერთი საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი დანიშნულებაა ნებისმიერი ასაკის ინდივიდების, ოჯახების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ან/და თემის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის აღდგენა–შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მეშვეობით. პრაქტიკოსი ექთანი გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადობა–სიკვდილობის მინიმიზაციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფაში.
პრაქტიკოსი ექთნის საქმიანობა ასევე მოიცავს ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა ანდა ტერმინალურ პაციენტთა მოვლას/მართვას.
საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური
უნარების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით პრაქტიკოსი ექთანი ადექვატურად პასუხობს მოსახლეობის ჯანდაცვის

მუდმივად ცვლად საჭიროებებს და ავლენს ახალ გამოწვევებზე რეაგირების უნარს. სიცოცხლის მანძილზე სწავლა დაუწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა – პრაქტიკოსი ექთნის ერთ–ერთი ძირითადი კომპეტენციაა.

სამედიცინო მიღწევები და თანამედროვე ტექნოლოგიები პრაქტიკოსი ექთნისგან მოითხოვს მაღალი დონის პროფესიულ ცოდნას, უნარებს, დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის ჯანდაცვის პრიორიტეტებზე, ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე ორიენტირებული და მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა.

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ინტერბიზნესის აკადემიის მიერ კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ცენრტრთან ერთობლივად და მათი სრული მხარდაჭერით, პროგრამა მომზადებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ევროკავშირის, აშშ ემორის, სკრენტონის უნივერსიტეტების სერტიფიკატის მქონე ექთანი-ტრენერების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სტანდარტის სრული დაცვით, ამავე დროს ამ სახის პროგრამა საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში ახალი სიტყვაა, არის ინოვაციური, ხელს უწყობს საქართველოში საექთნო საქმის პოპულარიზაცაიას და განვითარებას და თანხვედრაშია მსოფლიოში აპრობირებული სწავლების სტილთან;

ეს პროგრამა არის საფუძველი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისთვის. ურთიერთთანამშრომლობისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ ხელშეკრულებების თანახმად, სწავლება ძირითადად იწარმოებს კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ცენტრის და „საქართველოს კარიტასის“ სასწავლო საკონსულატაციო ცენტრის თანამდროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ ბაზებზე (მულტიფუნქციური მანეკენები და სხვადასხვა სიმულატორები), სადაც მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული თეორიული სწავლება გადაზრდილია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში, რაც გარანტია იმისა რომ ჩვენი კურსდამთავრებულები იქნებიან მაღალი კვალიფიციკაციის სპეციალისტები, რაც ობიექტურად გაზრდის მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობას და თითოეული მათგანი გახდება სასურველი კადრი ნებისმიერი თანამედროვე კლინიკისთვის. შესაბამისი ცოდნისა და უნარჩვევების მქონე კურსდამთვრებულებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და მოსახლეობაში არსებულ და ცვალებად საჭიროებებზე, მომავალ პრიორიტეტებთან ეფექტური რეაგირების უნარი, შეძლებენ დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას, და განუვითარდებათ მზადყოფნა უწყვეტი პროფესული განვითარებისათვის. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და კონკრეტული მიზნების დასახვით.

სასწავლო კურსებს წარუძღვებიან კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ცენტრის და „საქართველოს კარიტასის“ სასწავლო საკონსულტაციო ცენტრის ექთანი-ტრენერები, რომელთაც გავლილი აქვთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საექთნო საქმის სასწავლო კურსი.

დასაქმების სფერო

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს,ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს

პროგრამის მიზანი:

პროგრამ ისმიზანია მოამზადოს პრაქტიკოსი ექთანი, რომელმაც იცის საექთნო მოვლის მიზნები და ამოცანები; ავადმყოფის მოვლის ძირითადი საშუალებები, ფორმები და მეთოდები; მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს; იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; იცნობდეს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული ჰქონდეს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და /ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;

იცის და გაცნობიერებული აქვს: საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ–პოლიტიკური ასპექტები; პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმინაობის კონტექსტში; მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები;

იცნობს: ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსიექთნის დანიშნულება; უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს დაგაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო

სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;

უზრუნველყოფს: პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას დამონიტორინგს;

ფლობს: გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს (**BLS, ACLS, PHTLS, ATLS**);

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკურიმოვლის/მართვის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა; კლინეტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროულიშეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე; კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა/ წარმოება; მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ დატექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა დაგამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით; კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება დაასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციურობის უზრუნველყოფა; კლიენტის/პაციენტის, ოჯახის წევრების ან/და მომვლელის ინფორმირება დაგანათლება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა; დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/ განათლება, მართვა, ფუქნციების ადექვატური დელეგირება; შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა დაგავრცელება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ–ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ან/და იმუნიზაციის წარმოება; ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

დასკვნის გაკეთების უნარი

შეუძლია გამოკვეთილი პრობლემის ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება; დროულად ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან; ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ–ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა. უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით; იგი ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშულებებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით; იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განხორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე; უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. აქვს პრეზენტაციის უნარი. იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით. საოფისე პროგრამები.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

ღირებულებები

განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო დაადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად; მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა დარეკომენდაციებს; აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.

შეფასების წესი:
იხილეთ ქვემოთ

2. ფარამაცევტის თანაშემწე. V საფეხური

პროგრამის სახელწოდება:
ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური);

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:
ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. ერთი პროფესიული კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწიებული სხვა სახის აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის სრული მოცულობაა 3000 საათი, ხანგრძლივობა 103 კვირა. აქედან 40%, ანუ 48 კრედიტი (1200 საათი) ეთმობა პრაქტიკას, ხოლო თეორიულ სწავლებას ეთმობა -60 %- 72 კრედიტი (1800 საათი).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.
სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, მობილობის წესები დადგენილია დაწესებულების დებულებით.

სფეროს აღწერა
მსოფლიო ბიზნესის განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ფარმაცევტულ ბიზნესს, რომელსაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სფეროს

პროგრესისათვის. სათანადო ცოდნის, კომპეტენციისა და უნარების მქონე ფარმაცევტის თანაშემწის მომზადება წარმოადგენს ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების, მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

დასაქმების სფერო

ფარმაცევტის თანაშემწის დასაქმების ადგილებია - აფთიაქები, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, ფარმაცევტული ბაზები, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოები, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები, სტომატოლოგიური და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიები.

პროგრამის მიზანი:

წინამდებარე პროგრამის მიზანია კვალიფიციური ფარმაცევტის თანაშემწის მომზადება, რომელიც თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ფარმაცევტული საქმიანობისათვის უსაფრთხო პირობების შექმნას, რისკ-ფაქტორების დროულ გამოვლენას, სათანადო რეაგირებისათვის ინფორმაციულობის უზრუნველყოფას, შეუძლია აქტიურად ჩაერთოს წამალთფორმების დამზადების პროცესში ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისას.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს). იცის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუზველში; იცნობს ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს; იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები; იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიულ საფუძვლებს; იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულისა და მასალების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, შერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა და ა.შ) თეორიული საფუძვლები; მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება; ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების, მასალების, შემავსებელის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი; აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს, პოულობს გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად; ფარმაცევტული ხსნარების,ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; მცენარეული, ცხოველური და მინერალური

ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა. პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა); სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა; ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი; მეორე და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია; ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების აღება და დამუშავება, წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; დოკუმენტაციის წარმოება; მეორე და მესამე ჯგუფის პრეპარატების გაცემა დამოუკიდებლად; სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემა.

დასკვნის გაკეთების უნარი

შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.უნარი შესწევს: ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.უნარი შესწევს: ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაცია,
ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული, ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ; შეუძლია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით; ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად; გადასცეს და გაუზიაროს მოღებული ცოდნა და ინფორმაცია. აქვს დემონსტრირების უნარი.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში; სწავლის მიმართულების განსაზღვრა შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნიტ.

ღირებულებები

აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმები.

შეფასების წესი:
იხილეთ ქვემოთ

3. კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი).III საფეხური

პროგრამის სახელწოდება:
კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) (IIIსაფეხური);

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურისპროფესიული კვალიფიკაცია;

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:
კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე-3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. პროგრამის სრული მოცულობაა 1500 საათი, ხანგრძლივობა - 50 კვირა. აქედან 60%, ანუ 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ სწავლებას, ხოლო 40 %, ანუ 24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკას. პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

პროგრამაზედაშვების წინაპირობა:
მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და მინიმალური ასაკი-16 წელი.

სფეროს აღწერა და პროგრამის აქტუალობა:
კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) პროფესიული კვალიფიკაცია განეკუთვნება სამართლის მიმართულებას და მოიცავს კრიმინალისტიკის სფეროს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიც არის: კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია, ტექნიკა, ტაქტიკა და ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა. კრიმინალისტიკის განვითარება და კვალიფიციური კრიმინალისტების მომზადება წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, რადგანაცსაქართველოს სხვადასახვა უწყების (შსს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და

იურიდიული დახმარების სამინისტროს და სხვ.) საგამოძიებო ორგანოები განიცდიან აღნიშნული კადრების დეფიციტს.

პროფესიული პროგრამის მიზანი:

შპს ინტერბიზნესის აკადემიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის საგანმნათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული კონკურენტუნარიანი, პროფესიონალი რომლებმაც იციან კრიმინალისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია და ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა, შეუძლიათ შემთხვევის ადგილის შესწავლა, მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენა, ფიქსაცია და სხვა ღონისძიებების განხორციელება კვალიფიკაციის ფარგლებში.

პროგრამის მიზანი და შედეგები მიღწევადია, მისი შესაბამისობა მისიასთან უზრუნველყოფილია სხვადასხვა ფაქტორით: სწავლისა და სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების (პროფესიული მასწავლებლების, დამსაქმებლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) აქტივობით.

დასაქმების სფერო:

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საგამოძიებო და საექსპერტო დაწესებულებებში.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

იცის: სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი პრინციპები, სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების ადგილი აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, მათი საქმიანობის განხორციელების კანონიერი პრინციპები, კრიმინალისტის პროფესიული ამოცანები. იცნობს საგამოძიებო მოქმედების განხორციელების თანმიმდევრობას და გამოძიების უსაფრთხოების საკითხებს.იცის კრიმინალისტიკური ტექნიკა და მეთოდიკა, მათ შორის ფოტო და ვიდეო ტექნიკის გამოყენებით საგამოძიებო მოქმედებების პროცესუალური საკითხები. იცის სქემების შედგენა პირობითი ნიშნებისა და კოორდინატების გამოყენებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

აქვს მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენისა და ფიქსაციის უნარი.

შეუძლია:

- შემთხვევის ადგილის სქემის შედგენა, პირობითი ნიშნების კოორდინატებისა და მასშტაბების გამოყენებით;
- ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა ფიქსაცია და ამოღება,
- პროცესუალურად გაფორმება, შეფუთვა დალუქვა, მათი უსაფრთხოდ შენახვა;
- დაქტილოსკოპიური კვლების აღმოჩენა, ფიქსაცია ამოღება, შეფუთვა და კვლების დაცვა;
- დაქტილოსკოპიური ბარათის შედგენა;
- დაქტილოსკოპიური კვლების ცენტრალურ ბაზაში გაგზავნა

დასკვნის გაკეთების უნარი

შეუძლია: განსხვავებულ სიტუაციებში მუშაობისას პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციით სარგებლობა; ფოტოგადაღების შესატყვისი მეთოდის შერჩევა; არასაკმარისი ფაქტობრივი მოცემულობის გამო კვალის გამოვლინების სირთულის დროს შესაბამისი მიდგომისშემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ზეპირი და წერითი კომუნიკაცია კვალის აღმოჩენის, ფიქსირების საკითხებთან დაკავშირებით. ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, კომპიუტერული გრაფიკის რედაქტორებს. შეუძლია კრიმინალისტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, ინგლიურ ენაზე კომუნიკაცია პრაქტიკული ამოცანების გადასჭრელად.

სწავლის უნარი

შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარსწავლაზე პასუხისმგებლობის აღება - ფოტოგრაფიული და კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დონის გაღრმავება და კრიმინალისტის პროფესიის დასაუფლებლად სწავლის გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიღება.

ღირებულებები

გაცნობიერებული აქვს პროფესიული მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოსდროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. აცნობიერებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გადაღებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მნიშვნელობას.

შეფასების წესი:

იხილეთ ქვემოთ

4. კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი).IV საფეხური



პროგრამის სახელწოდება:

კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) (IVსაფეხური);

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე-4 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის

შესაბამისად. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. პროგრამის სრული მოცულობაა 1500 საათი, ხანგრძლივობა - 41 კვირა. აქედან 60%, ანუ 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ სწავლებას, ხოლო 40 %, ანუ 24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკას. პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს.
სფეროს აღწერა და პროგრამის აქტუალობა:
კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) პროფესიული კვალიფიკაცია განეკუთვნება სამართლის მიმართულებას და მოიცავს კრიმინალისტიკის სფეროს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიც არის: კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია, ტექნიკა, ტაქტიკა და ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა. კრიმინალისტიკის განვითარება და კვალიფიციური კრიმინალისტების მომზადება წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, რადგანაც საქართველოს სხვადასახვა უწყების (შსს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს და სხვ.) საგამოძიებო ორგანოები განიცდიან აღნიშნული კადრების დეფიციტს.
პროფესიული პროგრამის მიზანი:
კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის საგანმნათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული კონკურენტუნარიანი, პროფესიონალები
რომლებმაც იციან კრიმინალისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია, კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტაქტიკა, სისხლის სამართლის მატერიალური (ზ/ნ) და პროცესუალური ნორმების-საპროცესო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, მტკიცებულებათა სამართლებრივი საკითხები, გაცნობიერებული ექნებათ გამოძიების სტადიაზე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესუალური ეტაპები.
პროგრამის მიზანი და შედეგები მიღწევადია, სხვადასხვა ფაქტორით: სწავლისა და სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, პროგრამის შემუშავებაში ჩართულიპირების (პროფესიული მასწავლებლების, დამსაქმებლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) აქტივობით.
დასაქმების სფერო:
კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საგამოძიებო და საექსპერტო დაწესებულებებში.
სწავლის შედეგი:
ცოდნა და გაცნობიერება
იცის: სისხლის სამართლის მატერიალური (ზოგადინაწილი) და პროცესუალური ნორმები - საპროცესო მოქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძლები, მტკიცებულებათა სამართლებრივი საკითხები. გაცნობიერებული აქვს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესუალური ეტაპები;

კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტაქტიკა, კრიმინალისტიკური ბალისტიკის საფუძვლები, ტრასოლოგია. კვალწარმოქმნის მექანიზმები სპეციფიკა და მათთან მუშაობა; ექსპერტიზის სახეობები, ფორმები და პროცესუალური საკითხები; ექსპერტიზისათვის ჩასატარებელი ნიმუშების თემატური კლასიფიკაცია და მათი მომზადება შემდგომი საჭიროებისათვის; კრიმინალისტიკური რეგისტრაციის სახეები და მათი მნიშვნელობა; კვალის აღმოჩენის პროცესში გამოსაყენებელი საშუალებები და მათი გამოყენების თავისებურებები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

აქვს მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენისა და ფიქსაციის უნარი.

შეუძლია: ტრასოლოგიური, ბალისტიკური, მიკრონაწილაკების, ბიოლოგიური და სხვა კვლების აღმოჩენა, ფიქსაცია, ამოღება და მათი პროცსუალურად გაფორმება; მიღებული კვლების შენახვა და უსაფრთხოდ ტრანსპორტირება; აღმოჩენილი ნივთიერი მტკიცებულებებისა და კვლების შესახებ ცენტრალურ ბაზებში საჭირო ინფორმციის თემატიკის მიხედვით გადაგზავნა.

დასკვნის გაკეთების უნარი

შეუძლია: შემთხვევის ადგილის შესწავლის საფუძველზე განსაზღვროს ობიექტის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების წრე; აქვსუნარი, კვალის დასაფიქსირებლად მოახდინოს მისი წარმოქმნის მიზეზებისა და სპეციფიკის ანალიზი და მიღებული დასკვნის საფუძველზე შეარჩიოს შესაბამისი საშუალებები; შეუძლია რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება მტკიცებულებათა გამოსავლენად და დასაფიქსირებლად

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია პროფესიულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. შეუძლია კომუნიკაცია პროცესში მონაწილე პირებთან. ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში საინფორმაციო-საკომუნკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია მონაცემთა ცხრილურ რედაქტორებთან მუშაობა. აქვს მიღებული შედეგების ინფორმაციულად ადგილზე მიღების, დამუშავებისა და დისტანციაზე გადაცემისა უნარი;

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში; შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლის გაგრძელების მიმართულებები კრიმინალისტიკის სფეროში;

ღირებულებები

იცავს პროფესიისათვის დამახასიათებელ ღირებეულებების და მოქმედებს მათ შესაბამისად. პასუხისმგებლობით ეკიდება საპროცესო მოქმედების სხვა მონაწილის პროცესუალურ უფლებებს. აცნობიერებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მნიშვნელობას. არასამსახურებრივი მიზნებისთვის არ იყენებს მიღებულ ინფორმაციას.

შეფასების წესი:

იხილეთ ქვემოთ

5. ინფორმაციული ტექნოლოგი III საფეხური

პროგრამის სახელწოდება:
ინფორმაციული ტექნოლოგი (III საფეხური);
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:
ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. ერთი პროფესიული კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის გამოცდების ჩაბარება და პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწინებული სხვა სახის აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 35 კრედიტს. პროგრამის სრული მოცულობაა 875 საათი, ხანგრძლივობა 28 კვირა. აქედან 60%, ანუ 21 კრედიტი (525 საათი) ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, ხოლო 40 %, ანუ 14 კრედიტი (350 სთ) თეორიულ სწავლებას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ დაძლეული ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ან გააჩნიათ სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.
სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, მობილობის წესები დადგენილია დაწესებულების დებულებით.
სფეროს აღწერა:
საინფორმაციო ტექნოლოგიების სფერო გულისხმობს საინფორმაციო სისტემების შექმნას, განვითარებასა და მის სწორ ექსპულატაციას. უკანასკნელ წლებში საქართველოში სწრაფად განვითარდა ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მომსახურების სფეროში, მმართვის სისტემებში, საწარმოებში და იქცა სოციალური პროცესების განუყოფელ ნაწილად. მაღალი ტექნოლოგიური მიღწევები, კომუნიკაციის უახლესი საშუალებები ხელს უწყობენ დაწესებულების ეფექტურ მართვას, დროის, შრომის, მატერიალური რესურსების დანახარჯის ეკონომიასა და განვითარებას. ბუნებრივია, შრომით ბაზარზე გაიზარდა ისეთ იტ სპეციალისტზე მოთხოვნა, რომელსაც აქვს საერთაშორისო სტანდარების შესაბამისი ცოდნა და უნარები.
პროფესიული პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული
სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი

ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

დასაქმების სფერო:

ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება დასაქმდეს სამთავრობო, არასამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციებში ტექნიკოსის თანამდებობაზე; კომპიუტერულ სერვის ცენტრებში პრობლემების დისტანციური უზრუნველყოფის სპეციალისტად; შეეძლება მუშაობა მცირე და საშუალო ტიპის ორგანიზაციებში IT სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო პროფილურ ან დიდი მასშტაბის ორგანიზაციაში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის ადმინისტრატორის თანაშემწედ.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

იცის: თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა; კომპიუტერების შიგა კომპონენტების (დედაპლატა, ცენტრალური პროცესორი, მუდმივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრილებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობები, შიგაკაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები; აპარატურული და პროგრამული უსაფრთხოების წესები; სტაციონარული და პორტატიული კომპიუტერების მსგავსება და განსხვავება; პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები; ოპერაციული სისტემის დანიშნულება და მუშობის პრინციპები; ოპერაციული სისტემის აპარატურული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბამისობის განსაზღვრა; ოპერაციული სისტემის დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა; ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მოწყობა; კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა; ქსელური მოწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები; დამისამართება, გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა; ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები; კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება; აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშუალებები და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის საკითხები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია: კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა; პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით; გაუმართაობების აღმოფხვრა და კომპიუტერების შეკეთება; პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა; დრაივერების ინსტალაცია და განახლება; ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა; მონაცემთა აღდგენა; აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვლიფიციური აღმოფხვრა; მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა. ქსელური მოწყობილობებისა და კაბელის ტიპების არჩევა; ქსელის ინსტალაცია და ტესტირება; ქსელური რესურსების კონფიგურაცია.

დასკვნის გაკეთების უნარი

ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია წარმოქმნილი პრობლემის მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი

კვალიფიცირებული აღმოფხვრა. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, კლიენტისგან ინფორმაციის მიღება პრობლემის შესახებ, კლიენტის კომპიუტერული პრობლემის განსაზღვრა. საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა. ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან. შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, აქვს ჯგუფში მუშაობის და კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი

სწავლის უნარი

წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა. ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.

ღირებულებები

განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. გაცნობიერებული აქვს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. იცავს უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.

შეფასების წესი:

იხილეთ ქვემოთ

6. ბუღალტრი. III საფეხური

პროგრამის სახელწოდება:

ბუღალტერი (მესამე საფეხური)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე.

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია თუნინგის მიდგომის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად.

ერთი ECTS კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის გამოცდების ჩაბარება და პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწინებული სხვა სახის აქტივობები.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. პროგრამის სრული მოცულობაა 750 საათი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ საშუალო ან არასრული ზოგადი განათლების ატესტატი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

პროფესიული პროგრამის მიზანი:
ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია გამოუმუშაოს პროფესიულ სტუდენტს საბუღალტრო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული უნარ–ჩვევები. ბუღალტრის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირი მონაწილეობს საბუღალტრო საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ აღრიცხვა-ანგარიშგებაში, პროგრამის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის, სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის არსის საფუძვლიანი შესწავლა, ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძვლების გაცნობა და ინფორმაციული უზრუნველყოფა, ასევე სტუდენტს შესძინოს ეკონომიკური კატეგორიების ცოდნა; გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციების აღქმის და საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციების ასახვის, სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, პირველადი ბუღალტრული დოკუმენტების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, ტიპური/გამეორებადი ოპერაციების ბუღალტრულ ანგარიშებში დამოუკიდებლად ასახვის, საცდელი ბალანსის შედგენის უნარი.

დასაქმების სფერო:
ბუღალტრის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დაიკავოს ბუღალტრის პოზიცია კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში.
სწავლის შედეგი:
ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. აქვს სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის, საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპებისა და პროცესების, ასევე ბიზნესის სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.შეუძლია: დათვლა, აღწერა, გაზომვა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულება; პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენა; პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრეფსითი უწყისების შედგენა; ბუღალტრული გატარებამინიშნებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში; ტიპიური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში; დანერგილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანა, ოპერაციების კორექტირება. საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადება.

დასკვნის უნარი - შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. შეუძლია ცალკეულ საბურალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვნელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშგების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით.

კომუნიკაციის უნარი - შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.ეფექტიანად იყენებს პროფესიულსაქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. აქვს უნარი მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება. შეუძლია მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა; ამ მიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/და პასუხი სააღრიცხვო
ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე. აქვს უცხოურ ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი.

სწავლის უნარი - შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეუძლია საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულება - განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად, იცნობს ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს. არის პუნქტუალური, მოწესრიგებული, კეთლისინდისიერი.

შეფასების წესი:
იხილეთ ქვემოთ

7. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი). III საფეხური



პროგრამის სახელწოდება:
ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი). მესამე საფეხური.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:
საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც შედის პროგრამით და სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობები.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს.

პროგრამის სრული მოცულობაა 1500 საათი, ხანგრძლივობა - 39 კვირა. აქედან 60%, ანუ 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ სწავლებას, ხოლო 40 %, ანუ 24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკას. პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს როგორც საბაზო განათლების, ისე სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რაც დასტურდება შესაბამისი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტით.

სფეროს აღწერა:
ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) პროფესიული კვალიფიკაცია განეკუთვნება მენეჯმენტის დარგობრივ სფეროს და ორიენტირებულია ადმინისტრაციული პროცედურების წარმოებაზე.

პროფესიული პროგრამის მიზანი:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი პროფილის დაწესებულების ოფისის მართვა (საქმისწარმოება, დოკუმენტბრუნვა, სამდივნო სამსახური),

საოფისე (კომპიუტერი, ფაქსი, სკანერი, ქსეროქსი) და სხვა ციფრული ტექნიკის მოხმარება და ორიენტირებულია ადმინისტრაციული პროცედურების წარმოებაზე. არის კომუნიკაბელური და ეხერხება საქმიან ადამიანებთან ურთიერთობა;
სრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენის გრამატიკასა და მართლწერის წესებს; აქვს დახვეწილი მეტყველება და მანერები. პროფესიული სტუდენტი შეიძენს ცოდნას საერთო და სპეციალურ საქმისწარმოებაში, გაეცნობა საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტებს, არქივისათვის საქმეთა ფორმირების წესებს, აგრეთვე საქმიანი საუბრისა და თათბირის მომზადების ორგანიზაციის წესებს.

დასაქმების სფერო:
ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) დასაქმების სფეროა ნებისმიერი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურა (მ.შ. სასტუმრო კომპლექსები და ტურისტული ფირმები), სადაც მიმდინარეობს საქმისწარმოება, დოკუმენტბრუნვა და დაარქივება.

სწავლის შედეგი:
ცოდნა და გაცნობიერება
აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. იცის: სამუშაო ადგილის მოწყობის წესები; საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები; საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები; დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; ოფიციალური დოკუმენტების შედგენა–გაფორმების (პირადი, სამსახურებრივი, საგანმკარგულებლო, სააღმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური

დანიშნულების) და მასთან მუშაობის წესები; საარქივო საქმეთა ფორმირების წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობის წესები; ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები; ტექსტის რედაქტირების საფუძვლები; პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის წესები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია: გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. პირადი დოკუმენტების მომზადება; სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირება,რეგისტრაცია და ოპერატიულად შენახვა; საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების პროექტების მომზადება დამოუკიდებლად; ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობა; ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა;

მარტივი მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული დახარისხება და ფილტრაცია; დოკუმენტბრუნვის ორგანიზება; უდოკუმენტო მომსახურებისორგანიზაცია; საოფისე მომსახურების (მივლინების, მუშაკის სამსახურში მიღების,

სხდომების, საარქივო და სხვა დავალებათა) ორგანიზება; საარქივო მომსახურებადა საქმეთა ფორმირება არქივისათვის; ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და მასთანდაკავშირებული მარტივი კალკულაციის წარმოება; ფლობს საოფისე ტექნიკას; ხელმძღვანელთან ერთობლივი მუშაობის რეგლამენტის დაცვა.

დასკვნის გაკეთების უნარი

განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. ინფორმაციის დაზუსტება და გადამუშავება; აქვს საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების ანალიზის უნარი; შეუძლია მონაცემების დამუშავების პროცესში უზუსტობების დადგენა და პრობლემის.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. ინტერპერსონალური კომუნიკაცია - სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა, ინფორმაციის გამოთხოვა, დაზუსტება და სხვა; ინტერკულტურული კომუნიკაცია: სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამაში (MS Windows, MS Word, MS Excell, Power Point, Internet) მუშაობა მომხმარებლის დონეზე; გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე; უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე B1 დონეზე.

სწავლის უნარი

შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. პროფესიული საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება, პროფესიული განვითარებისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები

განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად იცავს კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ ყველა წესსა და

პროცედურას; არის კომუნიკაბელური, პუნქტუალური და მოწესრიგებული; პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობებს; აქვს კორპორატიული კულტურა.

შეფასების წესი:
იხილეთ ქვემოთ

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესი

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)
კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას ;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში:

- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- გამოცდის ჩაბარებას.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.
შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

- შუალედურ შეფასებას;

- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სწავლების მეთოდები

სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები:

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

შეფასების მეთოდი:

- ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- ჯგუფური/ინდივიდუალური მუშაობა
- დაკვირვება და დემონსტრირება

შეფასების ფორმები და მეთოდები

სწავლებისას და პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა სახის შეფასების ფორმები და მეთოდები, რაც დეტალურად არის გაწერილი თეორიული და პრაქტიკული ფორმატის სილაბუსებში.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება ინტებიზნესის აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ლინგაფონის კაბინეტი, პროექტორი. აკადემია მონაწილეობს პროექტში ”ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის -eILF” (ხელშეკრულება # 2010-9/6) და სარგებლობს ელექტრონული რესურსით: EBSCOHost (http://search.epnet.com), აქვს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა ღია ბიბლიოთეკა (OpenBiblio; ხელშეკრულება #03-11/ 13.07.2011). პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან: ქ.თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა;; შპს "ავერსის კლინიკა"; სს "კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი"; ა.ი.პ. საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი"; სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი; შპს "საქართველოს უნივერსიტეტი"; შპს „მაზერი“,"Multimedia & Business Computers"; შპს."ლინდა"; შპს „თქვენი კლინიკა“, შპს "კავშირი ჯანმრთელი მომავალი"; შპს "ჯანმრთელი ცხოვრება"; სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი "აისი"; შპს „ავერსი გეოფარმი“; შპს აფთიაქი „სალი 14“; აფთიაქი „კრწანისი“;შპს „ჯეოლაბი“; შპს „გამა“;შპს "კომფორტი";შპს "სიტი ივენთი"; სკკა-ში შემავალი კოლეჯები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს საშუალება აქვს არსებობის შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს იმავე პროგრამის მომდევნო საფეხურზე/სურვილის შემთხვევაში /სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე/მიიღოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აკადემიური განათლება.

"სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, აკადემიაში ხორციელდება შემდეგი უფასო მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამები:

1. ფარმაცევტის თანაშემწე;
2. ბუღალტერი;
3. ოფისის მენეჯერი;
4. გრაფიკა- ანიმაცია;
5. VEB-პროგრამირება;
6. VEB-ტექნოლოგიები;
7. კომპიურეტული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
8. ექთნის თანაშემწე.

ამავე პროგრამის ფარგლებში იგეგმება განხორციელდეს სასერთიფიკატო პროგრამები:

1. სადაზღვევო აგენტი;
2. საქმისწარმოების სპეციალისტი;
3. ადამიანური რესურსების მართვა;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა;

AIB
25